ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N129

2016 წლის 22 აგვისტო

ქ.ქობულეთი

,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 ივნისის N89 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 ივნისის N89 განკარგულებაში და დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე", „ვ", „ზ" და „თ" პუნქტები:

„ე) ამ განკარგულების „1" მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცულ იქნას წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

ვ) ამ განკარგულების „1" მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

ზ) ამ განკარგულების „1" მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).

თ) ამ მუხლის „ე', „ვ" და „ზ" პუნქტების გათვალისწინებით, განკარგულების „1" მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული დანართით განსაზღვრულ ადგილას, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 4 ცალით.";

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ზუბალაშვილის ქუჩა N30);

3. კონტროლი ამ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს;

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს. ოქროპირიძე